საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1059 2016 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ჯინო ველნეს გრუპისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 10 მარტის №429 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ჯინო ველნეს გრუპისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 10 მარტის №429 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების პერიოდში, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ ქონებაზე, პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, არანაკლებ 1 (ერთი) წლის ვადით, არანაკლებ 40 (ორმოცი) ადამიანის დასაქმება, ხოლო ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირების

მეშვეობით, არანაკლებ 20 (ოცი) ადამიანთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.“.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**